ლაშა გელანტია[1]
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
DOI: https://doi.org/10.52340/sou.2023.19.34

ადამიანის უფლებათა ევროპულის სასამართლოს საჩივრის ფორმის შევსების გავრცელებული შეცდომები

აბსტრაქტი. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის საერთა-შორისო სასამართლო, რომლის გადაწყვეტილებები სავალდებულოა სახელ-მწიფოთათვის და იწვევს მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ად-მინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას მრავალ სფეროში. სასამართლოს შეუძლია იმ საჩივრების განხილვაც, რომელსაც წარმოადგენენ ფიზიკური და იურიდიული პირები, რომლებიც მიიჩნევენ რომ დაირღვა ადამიანის უფლე-ბათა კონვენციით გათვალისწინებული მათი უფლებები.

პრაქტიკამ აჩვენა, რომ სასამართლოს მიერ განხილული საჩივრების 90%-ზე მეტი მიუღებლად ცხადდება, რისი გამომწვევი მიზეზი ხშირად სასამართ-ლოს მიერ შემუშავებული საჩივრის ფორმის შევსების პროცესში დაშვებული შეცდომები ხდება.

ნაშრომში განხილულია ისეთი ტიპიური და გავრცელებული შეცდომები, როგორიცაა: საჩივრის ფორმის არასათანადო ფორმის გამოყენება, ფაქტობრი-ვი გარემოებების არასწორად მითითება, არ არის დანართები დამაგრებული სათანადო წესით, არის არის დასაბუთბული შიდასახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვა, ხელმოწერების არარსებობა, დანართების გვერდის შეუვსებლობა, ნუმერაციის წესის დარღვევა, კონვენციის მუხლის მიუთითე-ბლობა და სხვა.

ნაშრომი ასევე მოიცავს პრაქტიკულ რჩევა-რეკომენდაციებს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში სასურველი შედეგის მისაღწევად.

საკვანძო სიტყვები: ადამიანი, უფლებები, ევროპული სასამართლო, საჩი-ვარი, შემუშავებული საჩივრის ფორმა, დანართები, წესის დარღვევა, კონვენ-ცია, გავრცელებული შეცდომები, რეკომენდაციები.

---

[1] **ლაშა გელანტია**, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლისა და დიპლომა-ტიის ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.

Lasha Gelantia[2]
Sokhumi State University

Mistakes made in the process of filling in the complaint form of the European Court of Human Rights

Abstract. The European Court of Human Rights is an international court whose judgments are binding on states and cause governments to change their laws and administrative practices in many areas. The court may also hear complaints from individuals and legal entities alleging that their human rights under the Convention have been violated.

Practice has shown that more than 90% of the complaints reviewed by the court are declared inadmissible, which is often caused by errors made in the process of filling out the complaint form developed by the court.

The topic discusses typical and common mistakes, such as: improper use of the complaint form, incorrect indication of factual circumstances, no annexes are attached properly, Exhaustion of domestic defense mechanisms is not rationaled, lack of signatures, inconsistency of the page etc.

The topic also includes practical advice-recommendations to achieve the desired result in the European Court of Human Rights.

***Keywords**:* human, rights, European Court, complaint, developed complaint form, appendices, rule violation, convention, common mistakes, recommendations.

ძირითადი კვლევა. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო (შემდგომში „სტრასბურგის სასამართლო“) არის საერთაშორისო სასამართლო, რომელიც შეიქმნა 1959 წელს. 1998 წლიდან იგი სრულ განაკვეთზე მომუშავე სასამართლოა, სადაც ფიზიკურ პირებს პირდაპირი მიმართვის უფლება აქვთ.

არსებობის მანძილზე სტრასბურგის სასამართლომ გამოიტანა 60 000-ზე მეტი გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებები სავალდებულოა კონვენციის წევრი სახელმწიფოებისთვის და იწვევს მთავრობების მიერ მათი კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პრაქტიკის ცვლილებას მრავალ სფეროში.

სასამართლოს პრაქტიკა ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას (შემდგომში „ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია“, იხ. კონვენცია, 2021) ძლიერ ცოცხალ ორგანიზმად აქცევს, რომელიც მზადაა შეხვდეს ახალ გამოწვევებს და მოახდინოს კანონის უზენაესობისა და დემოკრატიის კონსოლიდაცია ევროპაში.

სტრასბურგის სასამართლო არის საერთაშორისო სასამართლო, რომელსაც შეუძლია იმ საჩივრების განხილვა, რომელსაც წარმოადგენენ ფიზიკური

[2] **Lasha Gelantia**, Assistant at the Faculty of Law and Diplomacy of Sokhumi State University.

ან იურიდიული პირები და რომელთაც მიაჩნიათ, რომ დაირღვა ადამიანის უფლებათა კონვენციით დაცული მათი უფლებები. კონვენცია არის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის ფარგლებშიც ევროპულ სახელმწიფოთა უმრავლესობა შეთანხმდა დაეცვა რიგი ფუნდამენტური უფლებები.

სასამართლო ვერ განიხილავს ყველა სახის საჩივარს. მისი უფლებამოსილება ეფუძნება კონვენციაში და სასამართლოს რეგლამენტში ჩამოყალიბებულ მისაღებობის კრიტერიუმებს, რომელიც ადგენს თუ ვის, როდის და რის შესახებ შეუძლია ჩივილი. სასამართლოს მიერ განხილული საჩივრების 90-95%-ზე მეტი მიუღებლად რჩება. შესაბამისად, წინასწარ უნდა შემოწმდეს თუ რამდენად აკმაყოფილებს საჩივარი მისაღებობის კრიტერიუმებს. ***სასამართლო მხოლოდ მაშინ განიხილავს საქმეს, თუ:***

- საჩივრები ეხება კონვენციითა და მისი ოქმებით დაცული ერთი ან მეტი უფლების დარღვევას;
- საჩივარი მიმართულია იმ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელსაც რატიფიცირებული აქვს კონვენცია ან შესაბამისი ოქმი;
- საჩივარი ეხება საკითხებს, რაც მოიცავს სახელმწიფო ორგანოს პასუხისმგებლობას (საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, სასამართლო და ა. შ.); სასამართლო ვერ განიხილავს კერძო პირებისა ან კერძო ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართულ საჩივრებს;
- საჩივარი ეხება სახელმწიფოს მიერ კონვენციისა და შესაბამისი ოქმების რატიფიკაციის შემდგომ განხორციელებულ ქმედებებს და განვითარებულ მოვლენებს;
- კონვენციით დარღვეული უფლება პირადად უნდა ეხებოდეს განმცხადებელს;
- უნდა იყოს ამოწურული სამართლებრივი დაცვის ყველა შესაძლო შიდასახელმწიფოებრივი მექანიზმები;
- სასამართლოს წინაშე საჩივარი უნდა იყოს წარდგენილი ეროვნულ დონეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებიდან ექვსი თვის ვადაში;
- საჩივარი უნდა ეფუძნებოდეს სათანადო მტკიცებულებებს;
- დაუშვებელია მხოლოდ იმაზე ჩივილი, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება უსამართლო ან მცდარი იყო;
- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არ გახლავთ ეროვნული სასამართლოების სააპელაციო ინსტანცია და არ შეუძლია მათი გადაწყვეტილებების ბათილად ცნობა ან შეცვლა;
- წარდგენილი საჩივრები აქამდე არ განხილულა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ან სხვა საერთაშორისო ორგანოს მიერ.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოსადმი მიმართვისას ყველაზე ხშირად ვხვდებით შეცდომას, რომლის არსი მდგომარეობს შემდეგში, მიმართვის სუბიექტები ფიქრობენ, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არის ყველა მათი პრობლემის მოგვარების პანაცეა და მიმართავენ განურჩევლად ყველა საკითხზე, მაგრამ სასამართლოს უფლებამოსილება და საქმიანობა მკაცრად რეგლამეტირებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს რეგლამენტით.

სასამართლოს საქმიანობას საფუძვლად უდევს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, რომლითაც განსაზღვრულია ძირითადი უფლებები. სასამართლო იხილავს მხოლოდ ისეთ საქმეებს, რომელშიც შესაძლებელია დარღვეული იყოს კონვენციური მუხლი. განმცხადებელი ვიდრე მიმართავს სასამართლოს საჩივრით, უნდა გაეცნოს კონვენციას, სასამართლოს პრაქტიკას და სასამართლოს განმარტებებს კონვენციის კონკრეტულ მუხლებზე.

ზოგადადამიანური ლოგიკაა, რომ თუ პირის მიმართ კონკრეტულ სახელმწიფოში დაირღვა ძირითადი უფლება, მას ავტომატურად შეუძლია მიმართოს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს. ამ ჰიპოთეზის საფუძვლიანობის გადასამოწმებლად განმცხადებელმა კარგად უნდა გაანალიზოს ევროპული კონვენციის მუხლის ტექსტი და განსაზღვროს თუ ექცევა დარღვეული უფლება კონვენციის დაცვის სფეროში. თუმცა ეს მხოლოდ დასაწყისია, ევროპული კონვენციის მუხლები ძალიან ლაკონურია და მათი არსი განმარტებულია მოსამართლეთა მიერ სასამართლო გადაწყვეტილებებში. შემდეგ ეტაპზე განმცხადებელმა უნდა მოიძიოს მისი საქმის ანალოგიურ ან მსგავს საქმეზე მიღებული გადაწყვეტილება, რათა დარწმუნდეს, რომ კონვენცია იცავს მის მიმართ დარღვეულ უფლებას.

განმცხადებელთა და მათ წარმომადგენელთა უმრავლესობა წარსადგენ საჩივარზე მსგავსი ტიპის ანალიზს არ აკეთებს, რაც ხდება საფუძველი საჩივრის მიღებაზე უარის თქმის. გასათვალისწინებელია, რომ სტრასბურგის სასამართლო არ იცავს მსოფლიო სამართლიანობას და ის მოქმედებს მხოლოდ კონვენციის ფარგლებში.

მიუხედავად პრაქტიკაში საჩივრის დაშვებაზე უარის თქმის უამრავი საფუძვლისა, სასამართლომ თავად გამოკვეთა სასამართლოსადმი მიმართვისას ყველაზე ხშირად დაშვებული შეცდომები, რომელთაც წარმოგიდგენთ და შეცდომების თავიდან არიდებისთვის რეკომენდაციებზეც ვისაურებთ:

1. **განმცხადებლი არ იყენებს საჩივრის სასამართლოს მიერ დადგენილ ახალ ფორმას.** სასამართლო მისადმი მიმართვის ფორმას პერიოდულად ანახლებს. ამასთან სასამართლო ძველი ფორმით ან არსებული ფორმის გადაკეთებულ ვერსიას არ არეგისტრირებს. განმცხადებლებმა უნდა გამოიყენონ სასამართლოს განაცხადის უახლესი ოფიციალური ფორმა. თუ შესაძლებელია, მათ უნდა გადმოწერონ ფორმა სასამართლოს ოფიციალური ვებ-გვერდიდან.

2. **საჩივარში არ არის გადმოცემული ფაქტების მოკლე შინაარსი,** (რომლისთვისაც გამოყოფილია 3 გვერდი), ან არასრულადაა ან შეცდომითაა წარმოდგენილი ინფორმაცია შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი საშუალებების ამოწურვის შესახებ.

საჩივართან დაკავშირებით ფაქტების აღწერისთვის დასაშვებია საჩივრის ფორმას დაემატოს 20 გვერდამდე დანართის სახით, სადაც განმცხადებელს შეუძლია უფრო დეტალურად აღწეროს საჩივრის არსი და ფაქტები, თუმცა შეცდომა მდგომარეობს იმაში, რომ განმცხადებელი ფაქტების მოყვანას იწყებს საჩივრის ძირითად ფორმაში და აგრძელებს დანართის გვერდებზე, რაც წარმოადგენს დიდ შეცდომას. აუცილებელია საჩივრის ძირითად ფორმაში ასახული იქნეს საჩივართან დაკავშირებული ყველა ფაქტი, ხოლო დამატებით გვერდებზე შესაძლებელია გაკეთდეს უკვე დასახელებული ფაქტების ვრცელი განმარტებები. ეს მოთხოვნა არ ნიშნავს იმას, რომ საჩივრის ფორმაში უნდა გაკეთდეს ფაქტების მხოლოდ სახელობითი ჩამონათვალი და შემდგომ ისინი განვმარტოთ დამატებით გვერდებზე. ყველა ფაქტი უნდა იყოს მაქსიმალურად შინაარსობრივად მოქცეული საჩივრის ძირითად ნაწილში, ამისთვის გამოყოფილ გვერდებზე, რადგან სასამართლოს საქმის დასაშვებობის საკითხს წყვეტს განაცხადიდან გამომდინარე და დასაშვებობის ეტაპზე ნაკლებ ყურადღებას აქცევს დანართებს.

შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვის შესახებ სასამართლოსთვის ინფორმაციის მიწოდებისას, გამოყენებული მექანიზმების (ორგანოების) ჩამონათვალი უნდა იყოს ქრონოლოგიური და სრული, ის არ უნდა მოიცავდეს მხოლოდ ბოლო ინსტანციის დასახელებას. იმ შემთხვევაში, თუ მოპასუხე სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს დაცვის მექანიზმი, მაშინ არგუმენტირებული და დამაჯერებელი დასაბუთებაა საჭირო.

სასამართლოს რეკომენდაციაა, განმცხადებელმა განცხადების ფორმაში განათავსოს თავისი ისტორიის მოკლე და სრული ვერსია/ფაქტები, სავარაუდო დარღვევები და შიდასახელმწიფოებრივი დავის ყველა საშუალების ამო-

წურული შესახებ ინფორმაცია. სამი გვერდი გამოყოფილია ფაქტებისთვის (ნაწილი E.), ორი გვერდი დარღვევებისთვის (ნაწილი F.) და დავის ყველა საშუალების ამოწურვის შესახებ (ნაწილი G.). ამ პუნქტების წაკითხვით, სასამართლოს რეესტრს მოკლე დროში და ნაკლები ძალისხმევით შეუძლია შეაფასოს განაცხადი და გამოყოს შესაბამისი სასამართლო შემადგენლობა. აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინება დააჩქარებს და გაამარტივებს საქმის ექსპერტიზას.

მხოლოდ განაცხადის ფორმის წაკითხვით, სასამართლოს უნდა შეეძლოს საჩივართან დაკავშირებული ყველა ფაქტის დანახვა, დარღვეული კონვენციური მუხლის იდენტიფიცირება, დარწმუნდეს შიდასახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვაში და 6 თვიანი ვადის დაცვაში.

3. **განაცხადის ფორმაზე დანართის სახით არ არის დამაგრებული (სასამართლო გადაწყვეტილებებისა და სხვა დოკუმენტების ასლები) მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა განმცხადებლის სიტყვებს და მოყვანილ ფაქტებს.** სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას ვერ დაეყრდნობა მხოლოდ განმცხადებლის სიტყვებს. თუ კონკრეტული დოკუმენტის ასლის წარდგენა ობიექტური მიზეზებით შეუძლებელია, სასამართლოს უნდა წარედგინოს შესაბამისი ახსნა-განმარტება, თუ რატომ ვერ ხერხდება ამ დოკუმენტის მოპოვება.

სასამართლო ვარაუდობს, რომ განმცხადებლი მიიღებდა ყველა შესაძლო ზომებს მისი უფლების დასაცავად, მიმართავდა სახელისუფლებო ორგანოებს ინფორმაციის მისაღებად, დოკუმენტების ასლების გამოსათხოვად და სხვა. სახელმწიფოს მიერ დოკუმენტის გაუცემლობის შემთხვევაში, ლოგიკურია განმცხადებელმა სტრასბურგის სასამართლოში განაცხადს უნდა დაურთოს მის მიერ გატარებული ძალისხმევის/მცდელობების მტკიცებულებები (განცხადებები, დოკუმენტები. პასუხის გაცემაზე წერილობითი უარი და სხვა).

თუ განმცხადებელი ჩივის, რომ ხდება მისი სახლის ექსპროპრიაცია, მან საჩივარს უნდა დაურთოს ექსპროპრიაციის შესახებ ბრძანების ოფიციალური გადაწყვეტილების ასლი; თუ განმცხადებელი ირწმუნება, რომ მას უარი ეთქვა იურიდიულ დახმარებაზე ბავშვის მეურვეობის საქმის წარმოებისათვის, მან უნდა წარადგინოს დოკუმენტის ასლი, რომელიც გადაწყვეტილების მიმღები ორგანოს მიერ არის გაცემული, რომელშიც მითითებულია უარი.

განმცახადებელმა კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით უნდა უზრუნველყოს ყველა შესაძლო რელევანტური დოკუმენტის/მტკიცებულების მოპოვება.

4. საჩივრის ფორმაზე არ არის თანდართული იმ დოკუმენტების ასლები, რომლებიც დაადასტურებენ შიდასახელმწიფოებრივი სამართლებრივი დაცვის ყველა საშუალების ამოწურვას, ასევე 6 თვიანი ხანდაზმულობის ვადის დაცვას.

შიდასახელმწიფოებრივი დაცვის ყველა შესაძლო საშუალების ამოწურვის მტკიცებულებად არ არის საკმარისი განმცხადებელმა წარადგინოს მხოლოდ საბოლოო ინსტანციის სასამართლოს ან სხვა ორგანოს გადაწყვეტილება. სტრასბურგის სასამართლოს უნდა წარედგინოს ყველა ინსტანციის გადაწყვეტილება. გადაწყვეტილებებთან ერთად უნდა წარედგინოს ასევე სასამართლოს საოქმო ჩანაწერები, რომელიც დაადასტურებს უფლების დარღვევის ფაქტს, ასევე სასამართლო გადაწყვეტილების ჩაბარების დღის დამადასტურებელი დოკუმენტი და სხვა.

თუ არ არსებობს უფლების დარღვევაზე შიდასახელმწიფოებრივი გასაჩივრების მექანიზმი, მაშინ უნდა დაუმტკიცოს განმცხადებელმა სასამართლოს, რომ საჩივარი წარდგენილია უფლების დარღვევის დღიდან 6 თვიან ვადაში. თუ უფლების დარღვევა განგრძობადია, მაშინ 6 თვიანი ვადის ათვლა იწყება დარღვევის პროცესის დასრულების დღიდან. ასევე უნდა იქნეს წარდგენილი მტკიცებულებები, იმის შესახებ, თუ როდის მოხდა უფლების დარღვევა.

5. **საჩივრის ფორმა განმცხადებლის და მისი წარმომადგენლის მიერ არ არის ხელმოწერილი.** რამდენადაც უცნაურად არ უნდა ჟღერდეს, სასამართლოს მიერ წარმოდგენილ ანალიზში ეს შეცდომა საკმაოდ გავრცელებულია. რეკომენდაციის სახით, განაცხადის შევსების შემდეგ, განმცხადებელმა კიდევ ერთხელ უნდა გადაამოწმოს განაცხადში ხელმოწერების არსებობა.

6. **არ არის შევსებული საჩივრის ფორმის D1 განყოფილება - იურიდიული პირის წარმომადგენელი**. განაცხადის ფორმის ეს განყოფილება ეხება არა იურიდიული პირის მიერ დაქირავებულ იურისტს (ადვოკატს), არამედ იურიდიული პირის ოფიციალური წარმომადგენელს, რომელშიც მოიაზრება იურიდიული პირის დირექტორი ან მისი დავალებით ნებისმიერი თანამშრომელი. ამასთან აუცილებელია შესაბამისი დოკუმენტის თან დართვა, რომელიც დაადასტურებს იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილებას.

7. არ არის შევსებული საჩივრის ფორმის F (61) განყოფილება, რაც გულისხმობს კონვენციის დარღვეულ მუხლს და დარღვევის მოკლე შინაარს. მხოლოდ ფაქტების საფუძველზე სასამართლოს არ შეუძლია იმსჯელოს და გააკეთოს დასკვნები, თუ კონვენციის რომელი მუხლია დარღვეული და რომელი კონვენციური უფლების სავარაუდო დარღვევაზეა წარმოდგენილი საჩივარი.

განმცხადებელი ვალდებულია განაცხადში მიუთითოს კონვენციის კონკრეტული მუხლი, რომლის სავარაუდო დარღვევაზეც შეაქვს საჩივარი.

8. არ არის შევსებული საჩივრის ფორმის G (63) განყოფილება, რაც გულისხმობს დასაშვებობის კრიტერიუმების დასაკმაყოფილებლად შიდასახელმწიფოებრივი ყველა მექანიზმის ამოწურვას. განმცხადებელს თუ ასეთი არ გამოუყენებია, ვალდებულია დაასაბუთოს არგუმენტირებულად თუ რა ხელისშემშლელი გარემოებები არსებოდა.

9. საჩივრის ფრომის B1(17) განყოფილებაში არ არის მონიშნული სახელმწიფო, რომლის წინააღმდეგაც კეთდება განაცხადი.

10. არ არის შევსებული საჩივრის ფორმის I (70) პუნქტი, თანდართული დოკუმენტების ნუსხა.

დოკუმენტები წარდგენილი უნდა იქნეს ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და მათი გვერდები უნდა იყოს დანომრილი. დანომვრა უნდა იყოს უწყვეტი.

11. საჩივრის წარდგენის 6 თვიანი ვადის გაშვება. პრობლემა წარმოიქმნება, თუ განაცხადის ფორმა გაიგზავნა 6 თვიანი ვადის ამოწურვის ბოლო მომენტში. თუ განაცხადი დახარვეზდა და რეგისტრაციაზე უარი ეთქვა განმცხადებელს, ხარვეზის გამოსწორებისთვის დრო არ რჩება, რადგან ხანდაზმულობის 6 თვიანი ვადის აღდგენა დაუშვებელია, ხოლო დახარვეზებული საჩივრის წარდგენა ამ ვადის დინებას არ აჩერებს. სასამართლო განაცხადის რევიზიას ახდენს დაახლოებით 2-3 კვირაში, ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, ფოსტით პასუხის მიღებას შესაძლებელია დასჭირდეს დამატებით 2-4 კვირა, შესაბამისად საჩივრის გაგზავნა სასურველია მოხდეს ხანდაზმულობის ვადის ამოწურვამდე 4-8 კვირით ადრე. უფრო მეტიც, სტანდარტული საფოსტო მომსახურებით განაცხადის გაგზავნისას სასურველია საჩივარი გაიგზავნოს 3 თვით ადრე.

განაცხადის წარდგენის 6 თვიანი ხანდაზმულობის ვადის გაშვების რისკის შესამცირებლად, სასურველია საჩივრის მომზადება და გაგზავნა მოხდეს რაც შეიძლება მოკლე ვადაში შიდასახელმწიფოებრივი დაცვის მექანიზმების ამოწურვის შემდეგ, როგორც კი გვექნება საბოლოო ინსტანციის პასუხი/გადაწყვეტილება.

12. ხარვეზის შევსების წესის დარღვევა. ხარვეზის საფუძველზე განაცხადის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო განმცხადებელს ატყობინებს ხარვეზის შესახებ. შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო პრაქტიკის გათვალისწინებით, ხშირად განმცხადებელი ხარვეზის აღმოსაფხ-

ვრელად აგზავნის მხოლოდ სასამართლოს მიერ მოთხოვნილ დოკუმენტაციას, რაც უხეში შეცდომაა, რადგან სასამართლო განაცხადის რეგისტრაციაზე უარის თქმის შემთხვევაში არ ინახავს წარდგენილ საჩივარს და მასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას. შესაბამისად, სასამართლოსადმი ხარვეზის გამოსწორების მიზნით, განმეორებით მიმართვა გულისხმობს საჩივრის სრულად ხელახალ წარდგენას.

ეს იმ 12 ხშირად დაშვებული შეცდომის ანალიზია, რომელიც თავად სასამართლომ გამოაქვეყნა (სახელწოდებით Common Mistakes in Filling in the Application Form and How to Avoid Them). თუმცა ამის მიღმა არსებობს მთელი რიგი არარეგლამენტირებული ხარვეზები და რეკომენდაციები, რომელთა გათვალისწინება გაზრდის განაცხადის მიღების, სწრაფი განხილვისა და საჩივრის განმცხადებლის სასარგებლოდ გადაწყვეტის ალბათობას:

1. საჩივარში არსებითი ინფორმაციის ნუმერაცია. არარეგლამენტირებულია თუმცა მეტად მნიშვნელოვანია განაცხადის ფორმაში აბზაცები დაინომროს. განაცხადის ფორმა დაყოფილია სექტორებად. ყოველ მათგანს მინიჭებული აქვს ნომერი და ლათინური ანბანის ასო. სასურველია შესაბამის სექტორში ინფორმაციის შეტანისას დაინომროს აბზაცები. აბზაცების ნუმერაცია აადვილებს მნიშვნელოვანი ფაქტების და შესაბამისი მტკიცებულებების მიგნებადობას. საჩივრის არსი მარტივად გასაგები, მეტად სტრუქტურირებული და თანმიმდევრულია. ხელს უწყობს განაცხადის ტექსტობრივი მოცულობის შემცირებას, რადგან შესაძლებელი ხდება კონკრეტული აბზაცის მი-სამართის მითითება, მისი ციტირების ნაცვლად. აბზაცების ნუმერაციის ერთიანი დადგენილი წესი არ არსებობს, თუმცა შესალებელია გამოვიყენოთ საჩივრის ფორმაში უკვე არსებული სექტორების აღმნიშვნელი ლათინური ასოები და აბზაცები დაინომროს შემდეგნაირად: E1, E2, E3, E4 და ა. შ. ან გამოვიყენოთ სექტორისთვის მინიჭებული არსებული ნუმერაცია და შემდეგნაირად გადავნომროთ: 58.1, 58.2, 58,3, 58.4 და ა. შ.

2. **განაცხადში მხოლოდ სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი ინფორმაციის შეტანა.** საჩივრის მთავარი არსის დაკარგვა შესაძლებელია გამოიწვიოს ისეთი სახის ინფორმაციამ, რომელიც არ არის არსებითი სასამართლოსთვის და ის გადაწყვეტილებაზე არ იქონიებს ზეგავლენას. მაგალითისთვის: სასამართლოს არ აინტერესებს, რომ „მოსამართლე გადაწყვეტილების გამოტანისას ნიშნის მოგებით იყურებოდა“, ან „გულცივმა გამომძიებელმა გულთან ახლოსა არ მიიტანა თქვენი მდგომარეობა“. საქმის ლაკონურობის მიზნებიდან გამომდინარე, ნუ გაიმეორებთ საქმის ფიგურანტების თანამდებობის სრულ დასახე-

ლებებს (მაგ. თბილისის, გლდანი ნაძალადევის, მე-2 განყოფილების, პოლიციის უფროსის მოადგილე პოლკოვნიკის ა.ა. საკმარისია ერთხელ დაფიქსირდეს თანამდებობა სრულად და შემდგომში ის ჩაანაცვლოთ უბრალოდ „პოლიციელი“).

3. **განაცხადის არსი უნდა იყოს მარტივად აღქმადი და გასაგები.** მთავარი ფაქტებია. სასამართლოს არ აინტერესებს ემოციები და განწყობები. ტექსტი უნდა დაიწეროს მარტივი ენით. სხვადასხვა ინფორმაციით გადატვირთულ განაცხადში შესაძლებელია დაიკარგოს დავის მთავარი არსი. განაცხადის არსი არაიურისტისთვისაც გასაგები უნდა იყოს.

4. არ თარგმნოთ განაცხადი. საჩივრის დასაშვებობის ეტაპზე სტრასბურგის სასამართლოსადმი მიმართვა, გარდა ოფიციალური სამუშაო ენებისა, შესაძლებელია განმცხადებლის მშობლიურ ენაზეც (შემდგომ სამართალწარმოება გაგრძელდება სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე). ხშირად განმცხადებლები ცდილობენ საჩივარი თარგმნონ სასამართლოს ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე, რაც შემდგომში იწვევს სირთულეებს. კერძოდ განაცხადს ისედაც მკაცრი სტანდარტები აქვს და საკმაოდ რთულია ლაკონურად, სრულად და გასაგებად გადმოსცე დავის არსი. სამართლებრივი ტერმინოლოგიის თარგმნა საკმაოდ რთულია და არასწორი თარგმანი ხელს შეუშალოს დავის საგნის იდენტიფიცირებას და დასაბუთებას. თუ განმცხადებელი სამართლებრივ დონეზე არ ფლობს სასამართლოს ოფიციალურ ენას, უმჯობესია საჩივარი მშობლიურ ენაზე წარადგინოს.

5. **მტკიცებულებად განიხილება მხოლოდ დოკუმენტის დედნის ასლები.** განაცხადს უნდა დაერთოს მხოლოდ დოკუმენტაციის დედნის ასლები. სასამართლოს მტკიცებულებად არ განიხილავს ვებ-გვერდებიდან დაბეჭდილ დოკუმენტებს (მაგ. უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, რეესტრის ამონაწერი და სხვა).

6. მაქსიმალურად მცირე ზომის და ლაკონური განაცხადი. სტრასბურგის სასამართლოში ყოველდღიურად შედის საჩივრებით დატვირთული სატვირთო ავტომობილი. ეფექტურობიდან გამომდინარე, პირველ რიგში სასამართლო რევიზიას უკეთებს მცირე ზომის და ლაკონურად წარდგენილ საქმეებს. თუ თქვენი საქმე დიდი მოცულობისაა და გადატვირთულია დამატებითი მასალებით, მისი განხილვა დროში გაიწელება და შესაძლებელია რიგის ბოლოშიც აღმოჩნდეს.

7. ეროვნული კანონმდებლობის მტკიცებულებად წარდგენა არ არის აუცილებელი. ადგილობრივი კანონმდებლობის ტექსტის მტკიცებულებად

დართვის საჭიროება არ არსებობს, არც მისი ციტირებაა სასურველი განაცხადში, რა თქმა უნდა, თუ თვითონ კანონის ჩანაწერი არ საჩივრდება.

8. ყოველი ფაქტი გამყარებული უნდა იქნას მტკიცებულებით. განაცხადში დაფიქსირებული ნებისმიერი ფაქტი დადასტურებული უნდა იქნას დანართით/მტკიცებულებით. აქვე გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გაცხადებულ ფაქტებს უნდა მიეწეროს შესაბამისი მტკიცებულების კონკრეტული დანართის გვერდი ან სხვა მიგნებადი რეკვიზიტი, რადგან სასამართლო საკუთარი ინიციატივით ნაკლებად დაიწყებს ფაქტის შესაბამისი მტკიცებულების მოძიებას დანართებში, ის ხელმძღვანელობს საჩივარში მოცემული ინფორმაციით.

9. **განაცხადი წარდგენილი უნდა იქნას განმცხადებლის მიერ პირადად.** მესამე პირის მიერ წარდგენილ განაცხადს სასამართლო არ განიხილავს.

10. მიმართეთ მხოლოდ ერთ სასამართლოს. პარალელურად ან წინსწრებით სხვა საერთაშორისო ორგანიზაციაში/სასამართლოში ანალოგიური საჩივრის წარდგენის შემთხვევაში, სტრასბურგის სასამართლო თავს შეიკავებს თქვენი საქმის განხილვისგან.

გამოყენებული ლიტერატურა:

კონვენცია (2021): ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, ცოცხალი აქტი, დოკუმენტი მომზადებულია სასამართლოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის მიერ, ინგლისურენოვანი გამოცემა: The European Convention on Human Rights – A living instrument ხელმისაწვდომია https://echr.coe.int/Documents/Convention_Instrument_KAT.pdf